

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენა, როგორც მეორე ენა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი უნივერსიტეტის მასშტაბით ახორციელებს ქართული ენის, როგორც მეორე ენის უფასო სწავლებას. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის პროგრამის Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის DARE-ს (უმალესი განათლების ხელმისაწვდომობა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონებისათვის) გუნდის მიერ.

პროექტის კოორდინატორი: ხაიფას უნივერსიტეტი

პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ლია ახალაძე

ტრენერები: ლევან ჯინჯიხაძე, რუსუდან ფიფია;

საგნის სწავლებაში ჩართვის წინაპირობა:

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
- სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილი,

საგნის სწავლების მიზანი:

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლება და ამით ხელი შეუწყოს ისეთი სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში.

მსმენელმა შეისწავლოს ქართულის ენის საფუძვლები - ქართულად წერა, კითხვა, ლაპარაკი, მინიმუმ ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით A1 დონეზე, შეძლოს:

- სპეციფიკური ქართული ბგერების სწორად გადმოცემა მეტყველებისას;
- ყოველდღიურ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტების ადეკვატურად გაგება;

- ძირითადი გრამატიკული ცნებებისა და კატეგორიების გაცნობიერება, რაც გაუადვილებს მსმენელს სწორად წერასა და მეტყველებას;
- მოკლე ტექსტის შედგენა მარტივი, ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული წინადადებებით;
- ელემენტარული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- ლექსიკური მარაგის გააზრებულ გამოთქმებად გარდაქმნა;
- მარტივი დოკუმენტების შედგენის წესები (წერილი, რეზიუმე, განცხადება).

საგნის სწავლების მისაღწევი შედეგები:

სწავლების დამთავრების შემდეგ მსმენელი შეძლებს:

- ლექციების გაგებას ქართულ ენაზე საბაკალავრო საფეხურის სხვადასხვა მიმართულებით;
- სალექციო მასალის ათვისებას;
- დისკუსიებში მონაწილეობას;
- ქართულ ენაზე კომუნიკაციას ქართველ თანატოლებთან (ზეპირად და წერილობით);
- ცალკეული წინადადებებისა და ხშირად ხმარებული გამოთქმების გაგებას;
- ნაცნობ ან საყოფაცხოვრებო თემებზე მარტივი ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას;
- მარტივი გამოთქმებით საკუთარ თავზე, სხვებზე და გარემოზე ლაპარაკს;
- ყოველდღიური ცხოვრებისა და საკუთარი პროფესიული საქმიანობის ძირითადი ასპექტების აღწერას;
- მეტყველებაში ნაცნობი ფრაზებისა და გამოთქმების (რომლებიც საჭიროა კონკრეტული საქმის შესასრულებლად) გამოყენებას;
- მარტივ საუბრებში მონაწილეობის მიღებას, შეკითხვების დასმას;
- მარტივი, კონკრეტული, ადვილად მისახვედრი ინფორმაციის პოვნასა და გაგებას;
- დიალოგში მონაწილეობას, თუ მოსაუბრე ელაპარაკება ნელა და გარკვევით, საჭიროებისამებრ უმეორებს ნათქვამს.
- ბევრი რამ ქართული სოცოკულტურის შესახებ.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

სწავლებისას გათვალისწინებულია ყველა იმ აპრობირებული მეთოდისა და მიდგომის გამოყენება, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს ენობრივი კომპეტენციების ამაღლების თვალსაზრისით. ლექციები ტარდება თვალსაჩინოებებისა (სქემები და სხვა გრაფიკული ორგანიზატორები, ბანერები) და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (კომპიუტერი, პროექტორი) გამოყენებით. აქტიურად ვიყენებთ შემდეგ მეთოდებსა და სტრატეგიებს:

- ვერბალური/არავერბალური;
- წიგნზე მუშაობა;
- კითხვა-პასუხი;
- გრამატიკულ-მთარგმნელობითი;
- პირდაპირი;
- კომუნიკაციური დიდაქტიკა;
- აუდიოვიზუალური;
- პრეზენტაცია ვერბალური განმარტებებით;
- დაბალანსებული სწავლება;
- ევრისტიკული მეთოდი;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- წერითი სავარჯიშოები;
- აუდიო და ვიდეო მასალის განხილვა;
- დამოუკიდებელი სამუშაოები;
- ლექსიკონზე მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა;
- დისკუსია.

მსმენელთა რაოდენობა ერთ აკადემიურ ჯგუფში განისაზღვრება 5-დან 15 კაცამდე ოდენობით.

ხანგრძლივობა:

სწავლება გრძელდება სამი სემესტრი.

მსმენელთა შეფასების სისტემა

ფასდება:

1. მეცადინეობებზე დასწრება;
2. დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულების ხარისხი;
3. შუალედური ტესტირებები;
4. საბოლოო გამოცდა.

შეფასება 100-ქულიანია: 10% - მეცადინეობებზე დასწრება, 20% - დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულება, 20% - შუალედური ტესტირებები და 50% - საბოლოო გამოცდა (ტესტირება - 25%, გასაუბრება - 25%).

1. დასწრების აღრიცხვა ხდება ჟურნალში საათობრივად.

შეფასება ხდება შემდეგნაირად: - თუ გაცდენილი საათების რაოდენობა ნაკლებია სრული კურსის საათების რაოდენობის (120 სთ) ერთი მესამედის, მეცადინეობის ყოველ გაცდენილ საათზე 10-ს აკლდება გაცდენილი საათების რაოდენობა გამრავლებული 10/ამ კურსის სრული საათების რაოდენობის მესამედთან.

X - მოდულის სრული საათების რაოდენობა;

Y- გაცდენილი საათების რაოდენობა;

ფორმულა - $10 - (Y * 10 / (X / 3))$

თუ მსმენელის გაცდენილი საათები აღემატება სრული საათების რაოდენობის მესამედს, მსმენელი შინაგანაწესის თანახმად, გაირიცხება პროგრამიდან.

2. დამოუკიდებელი სამუშაოები - მსმენელს უტარდება 10 დამოუკიდებელი სამუშაო, ენის სწავლების ოთხივე კომპონენტის გათვალისწინებით:

კითხვის უნარის შემოწმება - 2 დ.ს.

მოსმენის უნარის შემოწმება - 3 დ.ს.

წერის უნარის შემოწმება - 2 დ.ს.

ლაპარაკის უნარის შემოწმება - 3 დ.ს.

თითოეული ფასდება 5-ქულიანი სისტემით, ჯამი მრავლდება 0.4 კოეფიციენტზე.

3. შუალედური ტესტირება - კურსის განმავლობაში ტარდება 2-ჯერ. თითოეული ფასდება 10 ქულით. ტესტი 50-ქულიანია. შეუსრულებელი დავალება ფასდება 0 ქულით, შესრულებული - კონკრეტული ტესტური დავალებისთვის განსაზღვრული ქულით.

4. გამოცდა - შედგება ორი ნაწილისაგან: ტესტირება და გასაუბრება.

ტესტირებას ეთმობა 2 ასტრონომიული სთ. ტესტი 100-ქულიანია.

გასაუბრებაზე - ფასდება 2 ენობრივი კომპეტენცია: კითხვა, ლაპარაკი. მაქსიმალური ქულაა -25. შეფასება ხდება შემდეგნაირად:

კითხვა - თითოეულ მსმენელს მიეცემა დონის შესაბამისი უცხო ტექსტი, რომელიც მან უნდა წაკითხოს და უპასუხოს წაკითხული ტექსტიდან დასმულ კითხვებს. ფასდება კითხვის ტექნიკა და წაკითხულის გააზრების უნარი. შედეგის მიხედვით დაიწერება მაქსიმუმ 5 ქულა;

ლაპარაკი - მსმენელი პასუხობს ბილეთს, რომელზეც აღნიშნულია სასაუბრო თემა. კომისიის წევრები უსვამენ დამატებით შეკითხვებს. იმის მიხედვით, თუ როგორ ისაუბრებს მსმენელი და უპასუხებს დასმულ კითხვებს, მოხდება ლაპარაკის უნარის შეფასება მაქსიმუმ 10 ქულით, მიღებული ქულა გამრავლდება 2 კოეფიციენტზე.

მინიმალური ზღვარი, რომლის დაძლევაც მოეთხოვება მსმენელს, არის 71 ქულა, იმ პირობით, რომ საბოლოო ტესტირება-გასაუბრების შეფასება არ უნდა იყოს 30 ქულაზე ნაკლები.

ლიტერატურა და სასწავლო მასალები:

1. ტეტელოშვილი თ. აღმართი A1 დონე, სახელმძღვანელო. თბილისი, 2013. http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo
2. შავთვალაძე ნ. შარაშენიძე ნ. აღმართი A1 დონე, სამუშაო რვეული. თბილისი, 2013 http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo;
3. კილურაძე თ. ქუთათელაძე ე. აღმართი B1 დონე, სახელმძღვანელო. თბილისი, 2015. http://geofl.ge/#!/page_teachersBookB1
4. კილურაძე თ. ქუთათელაძე ე. აღმართი B1 დონე, სამუშაო რვეული. თბილისი, 2015. http://geofl.ge/#!/page_teachersBookB1

5. კილურაძე თ. ქუთათელაძე ე. ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი, 2013
http://www.geofl.ge/#!/page_metodic
6. გაბუნია კ. ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი. 2016. http://www.geofl.ge/img/research/kakha_gabunia.pdf
7. ომიაძე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. I - II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
8. ომიაძე ს., ჯაყელი თ., ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. სამუშაო რვეული. I- II ნაწილი - თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
9. შარაშენიძე ნ., გაბუნია კ., საიმედო + - თბილისი: საიმედო, 2006;
10. შარაშენიძე ნ. და სხვ., თავთავი - თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005;
11. ხუციშვილი ვ., „საკომუნიკაციო ქართული“, საგამოცდო-განმავითარებელი ტესტები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენაში- თბილისი, 2012;